



განრიდების პროგრამების
(განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის)
2016 წლის ანგარიში

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“
განრიდებისა და მედიაციის სამმართველო

თბილისი
2017

შინაარსი

შესავალი.....	3
ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ	4
2016 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები.....	6
პროგრამის შედეგები	7
1. სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით:.....	7
2. სტატისტიკური მაჩვენებელი წლების მიხედვით	7
3. სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით:	8
4. სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით:.....	8
5. განრიდებულთა სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის ჩადენის დროს ასაკის მიხედვით.....	8
6. სტატისტიკური მონაცემები დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით	9
7. სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით:.....	9
8. წარმატებით დასრულებული მედიაციის მაჩვენებელი განრიდებულთა რაოდენობის მიხედვით. (საქმეებში სადაც არსებობდა მედიაციის წინაპირობა):.....	9
10. მედიაციის მაჩვენებელთან დაკავშირებული მონაცემები 2016 წელს	10
11. მედიაციის მაჩვენებლები (2014-2016 წლების მონაცემები):	10
13. 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები რაიონული და საოლქო პროკურატურების მიხედვით:.....	11
განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები სერვისები და ვალდებულებები	12

შესავალი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, როგორც განრიდების პროგრამების ზოგად მენეჯმენტზე პასუხისმგებელი უწყება, ყოველწლიურად, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთანამშრომლობით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს განრიდების მექანიზმის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული აქტივობები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო ღონისძიებებს პროკურორების, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების, მედიატორებისა და მოსამართლეებისათვის, ასევე სხვადასხვა სახის ანალიტიკურ საქმიანობას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, უწყებათაშორის მონიტორინგის ღონისძიებებს, ჩართულ სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, საგრანტო პროექტების დაფინანსებას ბენეფიციართათვის სერვისების გაფართოების და არასამთავრობო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს.

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს 2016 წლის ანგარიშს და მასში წარმოდგენილია პროგრამის განვითარების შესახებ მოკლე ინფორმაცია, 2016 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები, განრიდების პროგრამების დეტალური სტატისტიკა და 2016 წელს განრიდების ფარგლებში ხშირად გამოყენებული ღონისძიებები.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საინტერესოა როგორც იურისტებისათვის, ასევე სოციალური სფეროს წარმომადგენლებისათვის, პედაგოგების, მკვლევარების, სტუდენტებისა და აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ 2012 წლიდან ახორციელებს. 2013 წლამდე, პროგრამა მოქმედებდა საპილოტე რეჟიმში და ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქები, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი - მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

განრიდების პროგრამები 21 წელს მიულწეველი პირისათვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა 21 წელს მიულწეველი პირისათვის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულ პირთა ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

განრიდება/განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავესა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ 21 წელს მიულწეველმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მის მიმართ გამოიყენოს განრიდების მექანიზმი. 21 წელს მიულწეველი პირის განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი დაუკავშირდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს საქმის კონკრეტული სოციალური მუშაკისთვის დაწერას. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს განსარიდებლის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, განრიდების სარეკომენდაციო ღონისძიებებს და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს. ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან, ხოლო მედიაციის შემთხვევაში - მედიატორთან ერთად განსაზღვრავს განრიდების ღონისძიებას და ხელშეკრულების პირობებს. პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ განსარიდებლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობად აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს, ზიანის ანაზღაურება ან/და დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების გადაწყვეტილებას და საქმეს ჰყავს დაზარალებული, საქმეში ერთვება მედიატორი, რომელიც არის ნეიტრალური პირი. მედიატორის მიზანია დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენ განსარიდებელს შორის მოლაპარაკების წარმოება, შერიგებაში დახმარება და ზიანის ანაზღაურების ფორმაზე შეთანხმება. მედიატორი დაზარალებულსა და განსარიდებელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მედიაციის არსის, პროცედურების შესახებ და უხსნის მათ მედიაციის მნიშვნელობას. დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, მოლაპარაკების პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი მართავს შეხვედრას (ე.წ. მედიაციის კონფერენციას) რა დროსაც დაზარალებული და განსარიდებელი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. ყველა მხარესთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ: განსარიდებელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი (18 წლის ასაკს მიულწეველი პირის განრიდების შემთხვევაში), მედიატორი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების შესაბამისად, განრიდების ღონისძიებასთან ერთად 21 წელს მიულწეველი პირის მიეწოდება მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება

დაზარალებულის ან/და საზოგადოების წინაშე მოვალეობები, რომელთა შემუშავებაში მედიატორიც იღებს მონაწილეობას. განრიდებულს დაეხმარებიან სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

იმ შემთხვევაში, თუ საქმეს არ ჰყავს დაზარალებული, ან დაზარალებული წინააღმდეგია მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, აღნიშნული არ აბრკოლებს განრიდების პროცესს და პროკურორი უფლებამოსილია გააფორმოს 21 წელს მიუღწეველი პირთან ხელშეკრულება განრიდების შესახებ. ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ჩაერთოს მედიაციის პროცესში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 21 წელს მიუღწეველი პირის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ განრიდებულმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი განრიდებულის საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ კარგად უნდა დააფიქროს განრიდებული და უზრუნველყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

2014 წლის ნოემბრამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალებთან სამუშაო ვადები. ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და განრიდებულს შორის წარმოშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის, კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.

2016 წლის 1-ლი იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. კოდექსის მიხედვით, განრიდება გახდა პრიორიტეტული და კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია პირველ რიგში, განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. განრიდება გავრცელდა 14-18 წლის არასრულწლოვნების გარდა, 18-დან 21 წლამდე პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე მიენიჭა სასამართლოსაც. კერძოდ, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით, ან/და საკუთარი ინიციატივით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით. მნიშვნელოვანი ცვლილება აგრეთვე არის ის, რომ მედიატორის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. კოდექსის მიხედვით, პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება მედიაციის კონფერენციაზე სავალდებულო აღარაა.

2016 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები

2016 წლის პირველ ნახევარში დაიწყო განრიდების პროგრამების რეგიონული მონიტორინგი, რის ფარგლებშიც შემოწმდა იმერეთის რეგიონი, აღნიშნული პროცესი ასევე გაგრძელდება 2017 წელსაც.

2016 წლის აპრილში, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 17 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო, 49 საათიანი სასწავლო კურსი „შესავალი მედიაციაში“.

2016 წლის მაისში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 17 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო, 70 საათიანი სასწავლო კურსი „მედიაცია სისხლის სამართალში“. სასწავლო კურსი დაფუძნებული იყო 2015 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ურთიერთანამშრომლობით შექმნილ მოდულზე „მედიაცია სისხლის სამართალში“.

2016 წლის ივლისში, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 16 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო, 28 საათიანი სასწავლო კურსი „სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“. სასწავლო კურსი დაფუძნებული იყო 2015 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ურთიერთანამშრომლობით შექმნილ მოდულზე „მედიაცია სისხლის სამართალში“.

2016 წლის ოქტომბერს, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრსა“ და გაეროს ბავშვთა ფონდის შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც დაიწყო პროექტი, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა განრიდების პროგრამების გაძლიერების გზით“. მის მიზნებს წარმოადგენს არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერება და განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისათვის მათი სათანადო მომზადება, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალების საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე, პრაქტიკაში არსებული სირთულეებისა და გამოწვევების კვლევა და მათი გადაჭრის ხელშეწყობა სხვადასხვა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელების გზით. ასევე საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ურთიერთანამშრომლობით, 18-დან 21 წლამდე პირებთან მომუშავე არასპეციალიზებული პროკურორების გადამზადება განრიდების პროგრამების სპეციფიკურ საკითხებში. აღნიშნული პროექტის შედეგად, საერთო ჯამში, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება 10 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი და გადამზადდება 300-მდე განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამასთან შემხებლობაში მყოფი სპეციალისტი(პროკურორი, სოციალური მუშაკი, მედიატორი და მოსამართლე).

2016 წელს, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი თბილისის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. 2017 წელს იგეგმება კიდევ 6 სამუშაო შეხვედრის/ტრენინგის ჩატარება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

2016 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ და იუსტიციის სამინისტროს მიერ დაფინანსდა დაახლოებით 40 000 ლარამდე ოდენობით გრანტი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის სერვისის მიწოდების დაფინანსების მიზნით, მათ შორის „დანაშაულის მესამეული პრევენციის ხელშეწყობა არასრულწლოვანი განრიდებულების უნარ-ჩვევების განვითარებით“, „დანაშაულის გაცნობიერება ადდენითი პროგრამის საშუალებით“, "ელექტრონული წიგნი მოგზაურებსა და დიდ აღმოჩენებზე“.

პროგრამის შედეგები

2016 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 784 პირი, აქედან 462 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 322 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 287 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 222 მედიაციის საერთო შეხვედრა.

2010 წლიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საერთო ჯამში განრიდებულ იქნა 1823 21 წელს მიუღწეველი პირი.

2016 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული დეტალური სტატისტიკური მონაცემები:

1. სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	რაოდენობა
იმერეთი	92
რაჭა	0
კახეთი	54
სამცხე ჯავახეთი	29
სამეგრელო - ზემო სვანეთი	42
შიდა ქართლი	31
მცხეთა-მთიანეთი	14
ქვემო ქართლი	74
აჭარა	57
გურია	20
თბილისი	318
მთავარი პროკურატურა/საოლქო პროკურატურები	53
სულ	784

2. სტატისტიკური მაჩვენებელი წლების მიხედვით

	2012	2013	2014	2015	2016
14-დან 18 წლამდე	124	332	204	297	462
18-დან 21 წლამდე	-	-	-	-	322
სულ	124	332	204	297	784

3. სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით:

თვე	14-დან 18 წლამდე	18-დან 21 წლამდე	14-დან 21 წლამდე
იანვარი	31	2	33
თებერვალი	28	7	35
მარტი	31	17	48
აპრილი	44	25	69
მაისი	30	25	55
ივნისი	58	44	102
ივლისი	60	39	99
აგვისტო	27	31	58
სექტემბერი	34	32	66
ოქტომბერი	32	29	61
ნოემბერი	43	29	72
დეკემბერი	44	42	86
სულ	462	322	784

4. სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით:

სქესი	14-დან 21 წლამდე	14-დან 18 წლამდე	18-დან 21 წლამდე
მდედრობით	111	77	34
მამრობითი	673	385	288
სულ	784	462	322

5. განრიდებულთა სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის ჩადენის დროს ასაკის მიხედვით

ასაკი	საქმეების რაოდენობა
14 წლის	92
15 წლის	113
16 წლის	120
17 წლის	137
18 წლის	104
19 წლის	135
20 წლის	83
სულ	784

6. სტატისტიკური მონაცემები დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით

კატეგორია	14-დან 18 წლამდე	18-დან 21 წლამდე	14-დან 21 წლამდე
ნაკლებად მძიმე	282	240	522
მძიმე	180	82	262
სულ	462	322	784

7. სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით¹:

ხანგრძლივობა	14-დან 18 წლამდე	18-დან 21 წლამდე	14-დან 21 წლამდე
1 თვე	11	13	24
1.5 თვე	1	0	1
2 თვე	106	90	196
2.5 თვე	0	0	0
3 თვე	184	126	310
3.5 თვე	0	1	1
4 თვე	80	50	130
5 თვე	26	22	48
6 თვე	39	17	56
7 თვე	6	2	8
8 თვე	7	1	8
9 თვე	0	0	0
10 თვე	0	0	0
11 თვე	0	0	0
12 თვე	2	0	2
სულ	462	322	784

8. წარმატებით დასრულებული მედიაციის მაჩვენებელი განრიდებულთა რაოდენობის მიხედვით. (საქმეებში სადაც არსებობდა მედიაციის წინაპირობა):

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
წარმატებით დასრულდა	18 %	51 %	40 %

¹ რაოდენობა მოიცავს ისეთ საქმეებსაც, რომლებშიც გაგრძელდა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9. წარმატებით დასრულებული მედიაციის კონფერენციები:

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
წარმატებით დასრულდა	28 მედიაციის კონფერენცია	114 მედიაციის კონფერენცია	222 მედიაციის კონფერენცია

10. მედიაციის მაჩვენებელთან დაკავშირებული მონაცემები 2016 წელს

მიზეზი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
დაზარალებული არ არსებობდა	48	6%
მედიაციაზე უარი განაცხადა მედიატორმა	188	24%
მედიაციაზე უარი განაცხადა დაზარალებულმა	245	31%
სხვა	16	2%
სულ	784	

11. მედიაციის მაჩვენებლები (2014-2016 წლების მონაცემები):

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 21 წელს მიუღწეველი პირები	204 საქმე	297 საქმე	784 საქმე
სადაც არსებობდა მედიაციის წინაპირობები	197 საქმე	282 საქმე	720 საქმე
მედიაცია შედგა	36 საქმე	143 საქმე	287 საქმე
პროცენტული მაჩვენებელი	18%	51%	40%

12. დაზარალებულთა მონაცემები

	14-დან 18 წლამდე განრიდებული	18-დან 21 წლამდე განრიდებული	14-დან 21 წლამდე განრიდებული
იურიდიული პირი	146	101	247
ფიზიკური პირი	298	191	489
დაზარალებულის გარეშე	18	30	48

13. 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები რაიონული და საოლქო პროკურატურების მიხედვით:

პროკურატურა	2016
დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა	3
ქუთაისის რაიონული პროკურატურა	67
ზესტაფონის რაიონული პროკურატურა	8
საჩხერის რაიონული პროკურატურა	9
სამტრედიის რაიონული პროკურატურა	8
ამბროლაურის რაიონული პროკურატურა	
კახეთის საოლქო პროკურატურა	9
გურჯაანის რაიონული პროკურატურა	28
სიღნაღის რაიონული პროკურატურა	9
თელავის რაიონული პროკურატურა	17
სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა	5
ახალციხის რაიონული პროკურატურა	28
ახალქალაქი-ნინოწმინდის რაიონული პროკურატურა	1
სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა	
ფოთის რაიონული პროკურატურა	18
ზუგდიდის რაიონული პროკურატურა	17
სენაკის რაიონული პროკურატურა	7
მესტიის რაიონული პროკურატურა	
შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო	3
გორის რაიონული პროკურატურა	19
ხაშურის რაიონული პროკურატურა	12
მცხეთის რაიონული პროკურატურა	14
ქვემოქართველის საოლქო პროკურატურა	5
რუსთავის რაიონული პროკურატურა	38
ბოლნისის რაიონული პროკურატურა	13
მარნეულის რაიონული პროკურატურა	21
აჭარის ა/რ პროკურატურა	1
ბათუმის რაიონული პროკურატურა	49
ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურა	8
ოზურგეთის რაიონული პროკურატურა	20
თბილისის პროკურატურები	320
მთავარი პროკურატურა	27
აფხაზეთის ა/რ პროკურატურა	0
სულ	784

განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები სერვისები და ვალდებულებები

განათლება

- დაწეროს პატარა ესე, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (მაგ.: სამართალდარღვევა და მისი შედეგი, ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები და თავიდან აცილების გზები და სხვა.)
- აღიდგინოს მოსწავლის სტატუსი სკოლაში და გააგრძელოს სწავლა
- გააუმჯობესოს სკოლაში აკადემიური მოსწრება, აკონტროლოს საკუთარი ქმედება და დაიცვას კანონი
- წაიკითხოს სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა წიგნი, მაგ.: „ჩემი უფლებები და მოვალეობები“, „სამართლის ქალაქი“, და სხვა მხატვრული ან სხვა ჟანრის ლიტერატურა.
- მოიძიოს ინფორმაცია საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ და გააკეთოს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგებისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ ანალიზი, საჭიროებისამებრ, სოც. მუშაკის დახმარებით
- მოიძიოს არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულების შესახებ ინფორმაცია საჭიროებისამებრ, სოც. მუშაკის დახმარებით
- უზრუნველყოს 9 კლასის ატესტატის აღება საჭიროებისამებრ, სოც. მუშაკის დახმარებით პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით
- ჩაირიცხოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებულ, ქართული ენის სასწავლო კურსზე
- ჩაირიცხოს კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე
- გაიაროს, უფასო, კომპიუტერული კურსები
- მოემზადოს სკოლის გამოცდების ექსტერნად ჩასაბარებლად
- მოიძიოს, გაეცნოს და სოციალურ მუშაკთან შეხვედრის დროს განხილოს ინფორმაცია ნაადრევი ქორწინების გავლენის შესახებ არასრულწლოვნის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე
- იაროს უფასო უცხო ენის შემსწავლელ წრეზე
- მოიძიოს ინფორმაცია საკალმახე მეურნეობის საქმიანობის შესახებ
- ქართულ ენაზე წერა-კითხვის გაუმჯობესების მიზნით შეასრულოს პრობაციის ოფიცრის/სოც. მუშაკის მიერ შერჩეული სხვადასხვა დავალება
- მუნიციპალიტეტის რაიონულ ბიბლიოთეკაში შეისწავლოს კომპიუტერული პროგრამები
- ჩაერთოს ლიდერთა სახლის აქტივობებში

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „კომუნიკაცია“
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ბრაზის მართვა“
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „თვითშეფასება, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა“
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ასერტიული ქცევა“
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „დანაშაულის გაცნობიერება“
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული ფასეულობები“
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „მომავლის დაგეგმვა“
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული რისკები და საჭიროებები“
- ჩაერთოს პროექტში „წიგნის კლუბი და პროფესიული არჩევანი“
- ჩაერთოს სკოლასთან არსებული ორგანიზაციის აქტივობებში
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მიზნით
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „სოციალურ გარემოში ადაპტაცია“
- მიიღოს მონაწილეობა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის - „ტოლერანტობის სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებულ ღონისძიებებში, ტრენინგებსა და სემინარებში
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ადამიანის უფლებები“
- ჩაერთოს მსოფლვე-ახალგაზრდობის სახლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში
- დაესწროს სარეაბილიტაციო სესიებს დამოუკიდებელი ქვევის ჩამოყალიბების პრევენციისა და მავნე ნივთიერებების მოხმარების რისკების გაცნობიერების თვალსაზრისით
- გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაციები ფსიქოლოგთან შესაბამისი საჭიროების მიხედვით. მათ შორის, სტრესული გამოცდილების დაძლევის, თამამდამოუკიდებულების დაძლევის და სხვა მიზნით
- ჩაერთოს პროექტში „არტ-თერაპია“
- ინდივიდუალური სესიების ფარგლებში დაესწროს შეხვედრებს ბულინგის თემაზე
- განახორციელოს ვიზიტი სოციალური თერაპიის სახლში
- გაიაროს ფსიქო-თერაპიის კურსები
- ინდივიდუალურად შეხვდეს სოც. მუშაკს (განრიდებული და ცალკეულ შემთხვევაში, განრიდებულის მშობელი) განრიდებულის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და დედისგან დამოუკიდებლად, სოციალური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით
- სოც. მუშაკის დახმარებით წარმართოს დისკუსია ავტოსაგზაო შემთხვევების თემასთან დაკავშირებით
- მისწეროს წერილი დაზარალებულს, სადაც მოუყვება საკუთარი თავის, თავისი ქმედების შესახებ. მათ შორის, როგორ უყურებს თავის ქმედებას და რას ფიქრობს დაზარალებულზე
- გაიაროს სამკურნალო პროგრამა, რაც გულსიხმობს ვიზიტს ნევროპათოლოგთან

- იაროს დღის ცენტრში და არასრულწლოვნებს ესაუბროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობაზე
- ჩაერთოს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებში
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში თვითშეფასების ამაღლების მიზნით
- მიიღოს მონაწილეობა ერთ-ერთი ორგანიზაციის სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდებისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის ინტეგრაციის გაძლიერების და მოხალისეობრივი აქტივიზმის, თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობის აქტივობებში
- ჩაერთოს პროგრამაში/პროგრამებში, რომელიც მიმართული იქნება ადიქტიური ქცევის პრევენციაზე
- მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით ინდივიდუალური შეხვედრები სოც. მუშაკთან

შეზღუდვები და სხვა ვალდებულებები

- შინიდან გასვლის აკრძალვა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში და შესაბამისი გამონაკლისით,
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შეზღუდვა პროკურორის ნებართვის გარეშე
- ქალაქიდან გასვლის შეზღუდვა პროკურორისა და სოც. მუშაკის ნებართვის გარეშე
- არ დააგვიანოს გაკვეთილებზე და არ გააცდინოს გაკვეთილი გარდა გამონაკლისი შემთხვევისა
- თავი აარიდოს აზარტულ სათამშოო კლუბებში შესვლას, ასევე არ დაამყაროს ურთიერთობა იმ პირებთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში

•

დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები

- დაზარალებულს დაეხმაროს მაღაზიის დალაგებაში
- აუნაზღაუროს დაზარალებულს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი
- დაზარალებულს დაეხმაროს წაღებული ნივთების უკან, თავის ადგილზე დაბრუნებაში
- დაეხმაროს მაღაზიის თანამშრომლებს ახალი პროდუქციის მიღებასა და დათვლაში
- ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს
- დაეხმაროს დაზარალებულს სხვადასხვა საქმიანობაში
- დაზარალებული იურიდიული პირის, სუპერმარკეტის ვიდეომონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად განახორციელოს მარკეტში დანაშაულის ფაქტების გამოვლენა
- დაეხმაროს სუპერმარკეტში დასაქმებულ კონსულტანტებს კლიენტთა მომსახურებაში
- დაეხმაროს დაზარალებულს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში
- დაეხმაროს დაზარალებულს ავტოფარების მშენებლობაში

სპორტი და ხელოვნება

- იაროს გიტარის უფასო წრეზე
- ისწავლოს თექაზე მუშაობა
- დაესწროს ხატვის უფასო გაკვეთილებს;
- იაროს ფეხბურთის უფასო წრეზე
- დაკავდეს ხეზე კვეთით და წარმოადგინოს ხისგან დამზადებული ნაკეთობა
- სხვა არასრულწლოვნებს ასწავლოს ხეზე კვეთა და მის მიერ გაკეთებული რაიმე ნივთი წარმოადგინოს სოც. მუშაკთან.
- შექმნას თიხის/კერამიკის ხელნაკეთი ნიმუში

საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობები

- მიიღოს მონაწილეობა ტერიტორიის კეთილმოწყობისა და სკვერის კულტივირების პროცესში
- მადლიერების სახლს დაეხმაროს სოციალურად დაუცველი მოხუცებისთვის საკვების მიწოდებაში
- თანატოლებთან ერთად, თვეში ერთხელ, მოაწყოს დასუფთავების აქცია
- დაეხმაროს ბავშვთა დღის ცენტრის ადმინისტრაციას, ასევე დაეხმაროს ბენეფიციარებს სხვადასხვა მოხალისეობრივ საქმიანობაში
- დაასუფთაოს სოფელში არსებული მემორიალის ტერიტორია
- განახორციელოს მოხალისეობრივი საქმიანობა ხანდაზმულთა დღის ცენტრში
- მიიღოს მონაწილეობა სახლმუზეუმის დასუფთავების ერთჯერად აქტივობაში
- სალოცავის მომსახურე პერსონალს დაეხმაროს სხვადასხვა საქმიანობაში
- მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებს დაეხმაროს ინგლისური ენის შესწავლაში
- მიიღოს მონაწილეობა კულტურის ცენტრთან არსებულ ბიბლიოთეკაში კარტოთეკის დალაგებაში
- ჩაერთოს დღის ცენტრის სპორტულ აქტივობებში მოხალისეობრივად
- დაეხმაროს სოფელში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცს ეზოს მოწესრიგებაში
- მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ჩაატაროს მუსიკის ან ხატვის გაკვეთილები
- იაროს სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრში და დაეხმაროს ბავშვებს წაუკითხოს მათ მოთხრობები და ზღაპრები
- სოფლის ტერიტორიაზე დარგოს რამდენიმე ძირი ხე
- კეთილმოწყობის სამსახურის მომსახურე პერსონალს დაეხმაროს ქალაქის გამწვანების საქმიანობაში
- მიუსაფართა სასადილოდან მიუტანოს კუთვნილი ულუფა მოხუცებს
- იაროს პანსიონში, დაეხმაროს შშმ პირებს და ადმინისტრაციას სხვადასხვა საქმიანობაში
- ავარჯიშოს მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები ძიუდოში
- მიიღოს მონაწილეობა ეკლესიის მშენებლობის პროცესში

- გაუზიაროს მისი სამუშაო გამოცდილება და მიღებული განათლება მცირე საოჯახო სახლში მცხოვრებ ბავშვებს. შეხვდეს მათ კვირაში ერთხელ და მიაწოდოს მათთვის საინტერესო ინფორმაცია ინფორმატიკის საფუძვლების შესახებ
- შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს სასათბურე ბოსტნეული მოყვანის პროცესში
- მიიღოს მონაწილეობა ფეხბურთის მოედნის დასუფთავება-კეთილმოწყობის ყოველკვირეულ აქტივობაში



განრიდება



საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო



დანაშაულის
პრევენციის
ცენტრი



საქართველოს
მთავარი
პროკურატურა



პრობაციის
ეროვნული
სააგენტო